

ნ.ბ. ბ. შიგინაშვილი  
ქართული  
ბეჭდვითი

1  
1964



მთხოვნა და პიჯა 9-6

უესკენა 1-2

ზოგერთი დაწესებულება, ყოველგვარი საჭიროების გარეშე, კურორტებზე აგზავნის თანამშრომლებს მივლინებით.

საპურორტო მივლინება თანამშრომელთა თანსლეებით

ტ.3.64

№ 11 თბილისი ივნისი 1964

# ნიაშუი

ბაგოცემის 41-ე ფელი, ფანი 20 კავ.



უფროსად „ნიანგის“ 1964 წლის მე-8 ნომერში დაბეჭდილ ფელეტონზე: „ერთიანი ძალით მამაკაცებო!“



ტკბილი კერა და ოჯახი რომ შეგიქმნათ მამაკაცებს, რაც ვიტაცებთ „სხვების“ ტანზე, ჩვენც იმ მოდას ავიტაცებთ. ვიწრო კაბა, თმების შეჭრა, პაპიროსი და შარვალი, უცნაურად გაჩეხილი და შიშველი ჩვენი ქალი? მაგრამ რა ვქნათ, რაც არა გვსურს მას ვაკეთებთ თქვენის ძალით, როცა ცოლი გვერდით მოგდევთ, სხვისკენ გებრძობებთ თვალი...

ნაწი ბარამაშვილი



- პატივცემულო ბიძინა, მოაწყვეთ ჩვენი როლანდი თქვენთან ქარხანაში!
- იქ არაფერი სამუშაო არ იქნება მაგისათვის!
- ო... სწორედ მასეთ სამსახურს ეძებს!

წვილა და წინდა

წმილათა-წმიდა ადამიანები არიან კაჭარავას ქუჩა № 7-ში მცხოვრები აგაგული ოგანეზის-ძე აირაპეტოვი და მისი პატივცემული მეუღლე. უყვართ ერთი მეორე და უყვართ წინდები. თქვენ იტყვი, ერთი მეორის სიყვარული მესმის, მაგრამ წინდების სიყვარული რაღა არისო? თქვენთვის და ჩემთვის შეიძლება რაღა არის, თქვე დალოცვილო, მაგრამ ერთი მიდით და კითხეთ ზემოთხსენებულ პატივსაღებ ცოლ-ქმარს და ისინი გეტყვიან, რომ წინდების სიყვარული დიდებული სიყვარულია და ბაჯაღლო გულის გამომჟღავნება.

ადამიანს რაც უყვარს, იგი ყოველთვის ეცოტავება, რაც უნდა დაუხვავო. აი აგაგულის და მისი მეუღლის ბინაში 750 წყვილი წინდა აღმოჩნდა, ალბათ წინდამ წმიდა ადამიანების მშობლიურ კერას თავისით მიაშურა, რამეთუ გულს გული იცნობს და წმიდას წინდა.

როცა კატეგორიული კითხვა დაუსვეს აგაგულის და მის მეუღლეს, წინდები ვისიაო, ვისი და ერევნიდან ჩამობრძანებული საპატიო სტუმრების ვართუმ მკრტიჩიანის და ლენა ასატრიანის არისო, უპასუხეს.

ახლა ვართუმს და ლენას რომ კითხეს, ვისიაო, ვილაცამ, ერევნიდან გამოგვატანა და, ვინ გამოგვატანა და ვისთან გამოგვატანა, თავიდან ამოგვივარდაო. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ „პროფესიული“ სკლეროზის წყალობითა და მეოხებით ისიც კი „გადაავიწყდათ“, კაცი იყო გამომტანებელი თუ ქალი, კაცთან გამოატანეს თუ ქალთან, ან რისთვის ან რატომ.

ამ დროს ლენინაკანში, ერევნიდან ჩამობრძანებული სტუმრების ბინაში 177 წყვილ წინდასაც მოეყარა თავი, რომ უფრო გაზრდილიყო მათი რიცხვი, უფრო გამრავლებულიყო და იმდენი გამხდარიყო, რომ თბილისში „გამოტანებად“ ღირებულიყო.

რას ერჩით წინდებს, „წმიდა“ ადამიანებს ღმერთმა ნუ მოუშალოთ წინდების სიყვარული, „წმიდას“ წინდის წმიდა სიყვარული უხდება კიდევც.

გ. მარკარიანი.


უმიბვიკუ

თბილისში, 1964 წლის 12 მაისს, ლენინის ქუჩაზე აფთიაქთან უთანასწორო ბრძოლა გაიმართა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ზოგადი-ტექნიკური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტ თამაზ სოხაძესა და ტელეფონის ტექსაფონს შორის. შერკინება სულ რაღაც ხუთიოდე წუთი გაგრძელდა. გაიმარჯვა თამაზ სოხაძემ. კელიდან ბალახივით მოგლიჯა ტელეფონის აპარატი, კისრულზე წამოიღო, მიწაზე ვაჟაკურად დაანარცხა, ორკაპიკიანები ამოკრიფა და, ალბათ, თავის გზას გაუდგებოდა, რომ მილიციის მუშაკებს ჯილდოს მისაღებად იქვე ახლოს მილიციაში არ შეეპატიებინათ. ვაჟაკური გამარჯვებისათვის მალე სამართლიან ჯილდოს მიიღებს.

ჩაგომ აჩის კურღელი ეღამი

- |   |  |
|---|--|
| როგორც ყველას —<br>კურღელესაც<br>ჰქონდა სწორი თვალები...<br>არასოდეს უთესავს<br>ბოსტანი და ყანები.  | ყანას ფეხზე უელავს<br>ტუფლი „მოკასინური“.  |
| მაგრამ იგი ყოველთვის<br>სხვათა შურით დნებოდა...<br>რაც სხვას ჰქონდა, სწორედ ის<br>სურდა, ეხარებოდა. | კუმ იყიდა „ტრელაეი“,<br>ციყვმა „სპალნა“, ხალები...<br>აქეთ-იქით ცქერაში<br>მოეღრიცა თვალები. |
| — „ბეწვის პალტო აქვს მელას,<br>ვეფხვს — კაბა მოსირმული,   | და ვერ უთხრა ვერავინ, —<br>ეს იყო დამლუპველი...<br>ასე გახდა ელაში<br>შურიანი კურღელი.       |

ზ. კუხიანიძე





# აშროსი ბაქტადი და პირუტყვი



ამბროსი სპირიდონის ძე ბაქტადის კონტრინალური და ზოტეკნიკური განათლება არ მიუღია, მაგრამ პირუტყვის შესორების მისი წონისა და გამოსავლიანობის შეტყობის იმდენი უნარი ჰქონდა, რომ ზოტეკნიკი და ვეტექნიკი მასთან შედავებას ვერ გაბედავდა. ალბათ, ამით იყო გამოწვეული, რომ დიდი ჯიხაიშის სოფლის კოოპერატივის გამგეობამ მას სახორცე პირუტყვის შესყიდვა დაავალა.

ამბროსი ბაქტადი დაუყოვნებლივ შეუდგა მოვალეობის შესრულებას. მისი თანამდებობრივი ტიტული ასე ჟღერდა: დიდი ჯიხაიშის სოფლის კოოპერატივის პირუტყვის შემსყიდველი, ანუ იგივე დამამზადებელი. სამუშაოს ხასიათის გამო ამბროსის სოფლებში კარდაკარ უხდებოდა სიარული, რომ გაეგოთ თუ ვის ჰყავდა გასაყიდი პირუტყვი.

პირუტყვის პატრონებსა და ა. ბაქტადის შორის მოლაპარაკება, უმრავლეს შემთხვევაში, ურთიერთგაგებისა და ამბროსის მოგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ზოგჯერ მასშინ მწვავედებოდა სავაჭრო მოლაპარაკება, როცა პირუტყვის პატრონი ძვირს აფასებდა და შემსყიდველ ა. ბაქტადს კი ჭკუაში არ უჯდებოდა გამორჩენის გარეშე წარმოებული გარიგება.

— რა ამბავია ასეთი ფასი, შენი გამხდარი ძროხა ვის რად უნდა, ამის ხორცს ვინ იყიდის? ხომ იცით, უნდა დავკლათ. ხორცი გავყიდოთ, რამდენი საქმე გვაქვს წინ. — ყასიდად ედავებოდა ამბროსი პირუტყვის პატრონებს და ბოლოს სასურველ მიზანს აღწევდა.

ამბროსის საზრუნავი ერთი იყო — რაც შეიძლება იაფად ეყიდა, რომ „ცოტაოდენი“ გამორჩენა ენახა.

შეიძლება ზოგს კითხვა დაებადოს — გამორჩენა საიდან ჰქონდაო? ზოგიერთი, ალბათ, იმასაც იფიქრებს შესყიდული პირუტყვის ხორცს ძვირად ყიდდა და მომხმარებლებს წონაშიც ატყუებდაო. რა თქმა უნდა, არც ეს ყოფილა გამორიცხული, მაგრამ ამბროსის გამორჩენის მთავარი წყარო შემდეგნაირად იყო გააზრებული: ფულის გაცემის ქვითრებში პირუტყვის შესყიდვის ფასი მეტი უნდა ყოფილიყო აღნიშნული, ვიდრე გამყიდველთან გარიგება და ეს განსხვავება ამბროსის ჯიბეში მიდიოდა. სხვა „წვრილმანი“ თპერაცია ცალკე იყო ნავარაუდვეი ხორცის რეალიზაციის დროს. ეს უკანასკნელი მალაზიის მესვეურთა კომპეტენციაში შედიოდა.

ამბროსი ბაქტადი იხე გააფართოვა თავისი მოღვაწეობა, რომ დიდი ჯიხაიშის კი არ ეყო მის დიდ გაქანებას და სამტრედიის სოფლის კოოპერატივის № 5 მალაზიის გამგე-გამყიდველ ვახტანგ გარუჩავას დაუკავშირდა, გვერდში ამოიყენა და ხორცის შესყიდვის გეგმის შესრულების განხორციელებაში დახმარება გაუწია. მალე ვ. გარუჩავა იხე დაეუფლა თვითშესყიდვის ბაქტადისეულ „მეთოდს“, რომ დამოუკიდებლადაც კი შეეძლო ეწარმოებინა თვითშესყიდვა და თვითგაყიდვა.

— რაზე მაწერინებთ ხელს? — შეეკითხებოდნენ ზოგიერთი ცნობისმოყვარენი.

— რაზე და ქვითრებზე. აი ის ბოროლა რომ მომყიდე და მისი საფასური ფული რომ გადაგიხადე. — დაზეპირებული სიტყვებით პასუხობდნენ ამბროსი და ვახტანგი.

— კი მაგრამ, იმ ბოროლაში 140 მანეთი ძლივს გაიმეტე და 160 მანეთზე მაწერინებ ხელს? — ეკითხებოდნენ გულუბრყვილო გამყიდველები.

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს შენთვის, შენ შენი ხომ გაინაღდე. ეს ზედმეტი, რაც წანამატია, ხარჯებისთვისაა საჭირო. შენმა მეზობელმა იპოლიტემ თავისი ძროხა 150 მანეთად მოგვეყიდა, მაგრამ ქვითარში 200 მანეთი ჩავწერეთ და ხელიც სიამოვნებით მოგვიწერა. ჩვენ გარკვეული წესი გვაქვს შემუშავებული. ასე მაგალითად, ორას მანეთიან საქონელზე 250 მანეთს ვწერთ ქვითარში და ასე შემდეგ. აბა რაფა გგონია, ამ ჩვენს წვალებას არაფრად აგდებთ? — უხსნიდა ამბროსი გაჭირვებულ გამყიდველებს.

ასეთ დიალოგი არც ისე ხშირი იყო, რადგან ბევრს სრულიადაც არ აინტერესებდა ქვითარში ჩაწერილი თანხის რაოდენობა და ხელს უყუყმანოდ აწერდა.

ამბროსი ბაქტადი და ვახტანგ გარუჩავა თავიანთი „მოღვაწეობის“ მანძილზე თვითშესყიდვის წესით შეისყიდეს 150 სული პირუტყვი და თითო სულის შესყიდვაში თუ თვითმოგებას 20—50 მანეთს ვინაგარიშებთ, თვითმოგების მთლიანი ჯამი 5.000 მანეთს გადააჭარბებს.


სოფლის კოოპერატივის ბუღალტერიაში წარდგენილი ქვითრები გასავალში ტარდებოდა, პირუტყვი კი შემოსავალში, ხოლო ზედმეტად გამოწერილი თანხა კი ამბროსის და ვახტანგის საკუთარი ჯიბის შემოსავალში მიდიოდა.

ბალანსის მიხედვით ცნობილია დიდი ჯიხაიშის სოფლის კოოპერატივის როგორც გასავლის, ასევე შემოსავლის ოდენობა, მაგრამ დაზუსტებას მოითხოვს ამბროსი ბაქტადისა და ვახტანგ გარუჩავას მიერ თაღლითური გზით მიღებული შემოსავლის რაოდენობა. თუმცა ერთი რამ უდავოა, რომ მათი საკუთარი შემოსავალი დიდად აღემატება მათ გასავალს და არავითარი ანგარიშსწორებით არ ბალანსდება.

ამბროსისა და ვახტანგის „ჯიბის შემოსავლის“ ოდენობის სიზუსტის გამორკვევა მაინც საჭიროა და ამაზე იქნებ გვიპასუხონ დიდი ჯიხაიშის ან სამტრედიის სოფლის კოოპერატივების გამგეობებმა.

### 3. ნიკოლოზიშვილი

ნ. ბ. შირცხალავასი



რესტორნის ზოგიერთი მუშაკის საზაფხულო მოძრაობის გრაფიკი.







— ეს არის ის... — კაბინეტში შესვლისთანავე მამცნო უფროსმა და სავარძელში ამაყად წამოჭიმულ ახალგაზრდაზე მიმითითა.

— ის არის ეს?! — ჩემდა უნებურად წამოვიძახე გოცნებით და გასათვრად მორთული სტუმარი შევათვალიერე.

ჩემს წინ იყო ჩვენი უფროსის — აქვსენტი სპირიდონის „ახლობელი ნათესავი“, რომლის თავგადასავალს მის გაცნობამდე სასამართლო საქმეებით ვიცნობდი და ახლა კი მე, როგორც კადრების დარგში მომუშავე პიროვნებას, ყველაფერი უნდა მეკადრებია, რომ უფროსის საამებლად ხეირიანი ადგილი გამომენახა მისი უხერო ნათესავისათვის. ჩემამდე მოღწეული უტყუარი ცნობების მიხედვით, მას სხვა ცოდვებთან ერთად რამდენიმე სამსახური ჰქონდა მიტოვებული.

— აბა შენ იცი, ჭიჭიკო, ეს ერთი ნათესავი კიდევ უნდა ჩავაკვებოთ სადმე, — დიმილნარევი სიტყვებით მომმართა უფროსმა.

— კი, ბატონო, მაგრამ რაიონის ცენტრში რომ არ გვაქვს

მაგისი შესაფერი თავისუფალი ადგილი? — გაუბედავად შევკადრე სპირიდონის.

— სოფელი არ გამაგონოთ, — ამ პირველი სიტყვებით მოგვცა პირველი გაფრთხილება უფროსის ნათესავმა.

— რა ვქნათ, ბატონო, აგრონომ კაცს რა სამუშაო გამოვუნახოთ რაიონის ცენტრში, ვენახებსა და ხეხილის ბაღებს მოასფალტებულ ქუჩებში ხომ ვერ გააშენებს, — მორიდებით მოვახსენე უფროსს.

— აბა, — კვლავ ჩაერიხსაუბარში სტუმარი, — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი მე მშობლების სურვილით დავამთავრე; ალბათ, მათაც თქვენსავით ეგონათ, რადგან ინსტიტუტის სახელწოდების პირველი სიტყვა სოფლით იწყება, მისი დამთავრებისთანავე სოფელს მივაშურებდი, არაფერი შეგეშალოთ, სოფელი არავინ მიხსენოთ, თორემ... — მოგვცა მეორე გაფრთხილება თავმდაბალმა სტუმარმა.

ჩამოვარდნილი სიჩუმე ისევ აქვსენტი სპირიდონიჩმა დაარღვია:

— რესტორნის დირექტორად დავინიშნოთ, აგრონომი კაცია

და, კაცმა რომ თქვას, ცოტა ახლოს იქნება თავის პროფესიასთან, სოფელში მოყვანილ პროდუქტებთან ექნება საქმე.

— კი მაგრამ, დიომიდეს რა ვუყოთ, ხომ იცით, ადგილობრივი მუშაკების პატივისცემას რომ თავი დაუანებოთ, ჩამოსული სტუმრებისათვის გამართული ბანკეტების ხარჯები სულ მაგის კისერზეა ჩამოკიდებული, — განვუმარტე უფროსს.

— დიომიდე ბაზრის დირექტორად გადავიყვანოთ, მაინც ყოველდღე ბაზარში დადის, — დაასაბუთა უფროსმა.

— იცოცხლე მაგ კარგი საქმეა, თუ ბაზრის დირექტორი დაგვეთანხმა სხვაგან გადასვლაზე, მასეთ გემრიელ ლუკმას შენ გააგდებინებ ხელიდან. მერე ხომ იცი ვისი კაცია, — მოვაგონე სპირიდონიჩს ბაზრის დირექტორის მფარველები.

— ბაზრის დირექტორი კლუბის გამგედ დავინიშნოთ, რა მოხდება მერე?! მართალია დიდი ცოდნა არ უხეთქავს თავს, მაგრამ იქ მუშაობას რა უნდა — დილას გააღებს კლუბს და საღამოს დაკეტავს. — დაასკვნა აქვსენტი.

— კლუბის გამგე სადღა წავიყვანოთ, — შევახსენე უფროსს.

— მაგ სულ ადგილი საქმეა, — სიცილით თქვა სპირიდონიჩმა, — რკინა — კავეულობის მაღაზია იქვე არ არის, ტიტული არ შეეცვლება და არაფერი, კლუბის გამგეობიდან პირდაპირ მაღაზიის გამგედ გადავსვით.

— ახლა მაღაზიის გამგის მოწყობა გახდება ხათაბალა. — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

— მაგ არაფერია, — მანუგემა უფროსმა, — გრამიტონზე ამბობენ კარგი პურისმჭამელი ბიჭიო და პურკომბინატში გაგვზავნოთ დირექტორად.

— მოგეცა სიკეთე, მაგაზე უარი არ თქვას, მაგრამ პურკომბინატის დირექტორს რა ვუყოთ?! ხომ იცი, როგორი პურმარილიანი კაცია. ცოდვაა მისი გაფუჭება. — შევევედრე უფროსს.

— მაგისი დარდი ნუ გაქვს, პურკომბინატის დირექტორი გადავიყვანოთ ხე-ტყის საწყობის ბაზაში, კარგი საჭმელი ადგილია, მეტი რაღა უნდა, — დამამშვიდა აქვსენტი.

— ხე-ტყის საწყობ ბაზაში ხომ იცით ვინ მუშაობს, ბატონო! მასეთი ინტრიგანი მე-

ორე არ დადის ჩვენს რაიონში, მაგას რომ ხე-ტყე გამოვაცალოთ პირიდან, საჩივრების წერით შესძრავს ქვეყანას. — განვუმარტე უფროსს.

— არც მაგ დარჩება უკმაყოფილო, გარეუბანში გავგზავნი ღვინის ქარხნის დირექტორად. ეგ ადგილი ამ ვაუბატონისათვის მინდოდა (უფროსმა ხელი ნათესავისაკენ გაიშვირა), მაგრამ, ხომ ხედავთ, რაიონის ცენტრიდან ფეხის გადადგმას არ აპირებს. — სინანულით წარმოსთქვა აქვსენტი.

— რას ამბობთ, ბატონო — წამომცდა ხმამალა. — სპეციალისტი წამოვიყვანოთ ღვინის ქარხნიდან და ინტრიგანი დავინიშნოთ?!

— ღვინოს რა სპეციალისტი უნდა, შე კაცო, — განმიმარტა უფროსმა. — ჩვენს რაიონში ყველა ერკვევა მის ხარისხში. ბევრმა მისი დამზადების ახალი ტექნოლოგიაც კი შეიმუშავა.

— ღვინის ქარხნის დირექტორს რაღა ჯანდაბა მოუხერხოთ?! — წარმოეთქვი გულმოსულმა.

— საწყობის გამგედ დავინიშნავ, სიხარულით ცას ეწევა. — მომიჭრა უფროსმა.

— საწყობის გამგე ცოცხალი თავით არ დასთმობს იმ ადგილს. ხომ იცი რას არ ამბობს ჩვენზე... — დანარჩენი ხმადაბლა მოვახსენე უფროსს. — მაგისი საკითხი გადაწყვეტილია, პენსიაზე გავუშვებთ და ამით დამთავრდება ყველაფერი. — დამთავრა უფროსმა და დამავალა სასწრაფოდ შემედგინა პროექტი, თვითონ კი ნათესავს ხელი ჩამოართვა და წინასწარ მიულოცა ახალი თანამდებობა.

მთელი ღამე არ მიძინია. ვინ მოსთვლის რამდენი ქალღალი გავაფუჭე.

დილით პირველად მე შევაღე კაბინეტის კარები და უფროსს ჩემი ნაშრომი წარვუდგინე, რასაც მოჰყვა მუნჯი სცენა. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მე მდივან ქალს განცხადება ჩავაბარე უფროსის რეზოლუციით: „განთავისუფლდეს თანახმად თავისი განცხადებისა“. გამანთავისუფლეს... ჩემს ადგილზე აქვსენტი სპირიდონიჩმა თავისი ახლობელი ნათესავი დანიშნა. ყველაფერი გასაგებია... ჩემი თანამდებობა თუ ჭირდებოდა ეთქვა პირდაპირ, რა საჭირო იყო მუშაკთა შეცვლის ჯაჭვური რეაქცია.

ნახ. ღონისა



როცა დამნაშავე ხელს აწერს თავის დანაშაულზე.



— ხელები მაღლა! — შესძახა მძარცველმა და რევოლვერით ხელში სიბნელიდან გამოსტა.

— ლაიოშ, — უპასუხა ხმამ, — სისულელეს თავი ანებე, ლაიოშ, გესმის?

— არავეთარი ლაიოში. მძარცველი ვარ და არა ლაიოში, გთხოვთ ხელები მაღლა ასწიოთ, თორემ გესვრით.

— თუ ასეა, ინებეთ. — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მთვრალმა და ორივე ხელი მძარცველის მხრებზე დააწყო.

— აი ეს მესმის!

— ბუნებით კეთილი იყავ, უარს ნუ ამბობ. ხომ ლაიოში ხარ. განა არ იცი, სიბნელეში ცუდად ვხედავ?

— უნდა გაგძარცვოთ, — დიდის ტანჯვით გამოსტევა უკანასკნელი სიტყვები მძარცველი.

— რომელ საფულეზე მელაპარაკებთ? — კითხა მთვრალმა. — სულ ერთია მაინც არ მჯერა შენი. შენ ლაიოში ხარ, ნუ უარყოფ! ლაიოში ხარ! ერთი ეს მითხარ, ბატონო მცემ? ხომ ასეა, რას გაჩემდი?

— არავეთარი ლაიოში არა ვარ, — წამოიყვირა გაბრაზებულმა. — იოჟეფი მქვია. და, საერთოდ, მიბოძეთ თქვენი საფულე... მე თქვენი ფული მინდა, გესმით? — ყურში წასწრწულა გაბურტულმა მძარცველმა და რევოლვერი ასწია.

მთვრალმა უფრო ძლიერ დაიცვა ყურები ისე, რომ თავი არც კი აუწვევია. მძარცველმა მსხვერპლის პალტოს გულსაქიბისაკენ წაიღო ხელი, მაგრამ ხელები არ ემორჩილებოდა. მთვრალი არხინად სვრინავდა. დროგამოშვებით ბურტყუნებდა. ხელისგულებით მაგრად ჰქონდა ორივე ყური დაცული. მძარცველი გულსაქიბეში ხელის ჩაყოფას ცდილობდა, მაგრამ ხელთან ერთად რევოლვერით უკანკალებდა. ერთი წუთიც და თავის მოკვლაც განიზრახა. — ბატონო ჩემო, — უთხრა მან, — ღმერთის სახელით.

მაგრამ საპასუხოდ სვრინვა გაისმა.

— ცოლიანი ვარ, — წამოიწყო მძარცველმა ისევ

— ძალიან მიმიძიმა! გესმით!

მთვრალს ეძინა.

მძარცველმა ცალი ხელი გულთან მიიტანა და მერე გამწარებულმა საჩქაროდ მოიშორა.

— ლაიოში ვარ, — წამოილულულა მან.

— გესმით, ბატონო ჩემო, ლაიოში ვარ.

მთვრალმა თვალები გაახილა, თავი მოიფხანა

ქუდი ტალახში გადაუვარდა მძარცველმა ფრთხილად გაწმინდა ქუდი და ისევ დაახურა. მთვრალის

თავს ძლივს იკავებდა.

— აი, ხომ ხედავ, — უთხრა კმაყოფილმა.

— როგორც იქნა გონს მოდი. ლაიოშიად ყოფნა სულაც არაა სათაქილო.

— რაო!? — წამოიყვირა მძარცველმა. ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ გესვრით!

— ესე იგი ეს შენ ხარ, — თავი გაიქნია მთვრალმა. — სად დიკარგე, მეგობარო ლაიოში?

— ეშმაკაც წაგიღოთ, — უთხრა მძარცველმა, — სულ გაგიჟდით. ცოლიანი ვარ. უკვე პირველი საათია, გამიგეთ, რომ თქვენს გამო ორივეს უბედურება მოგველის. გინდათ რომ გესროლოთ? ამით რას მოიგებთ?

მძარცველის ხმა გაურკვეველად გაისმოდა, ხელები უკანკალებდა. ყელში მომდგარი ბოღმა ახრჩობდა.

— უნდა მესროლოთ? — დაინტერესდა შემფოთებული მთვრალი. — რისთვის უნდა მესროლოთ, ლა-



იომ? წმიდა მამო, როგორ? შენ კაცისკვლა გადაწყვიტე?

— იძულებული ვარ, — მიუგო მძარცველმა. ორი დღეა ჩემი ცოლი შვიერია. უსათუოდ უნდა მოგვკლათ. სახლში ძხვის გარეშე ვერ დავბრუნდები.

უნდა გამიგოთ, ბატონო ჩემო!

— ა! — უპასუხა მთვრალმა და შუბლში ხელი შემოიკრა... — ჩემო საცოდავო ადამიანო. ერთი მითხარით, ვეთაყვა, რა უბედურება მოგელით? ძხვი-სათვის გინდათ ფული? — შეეკითხა წყნარად მთვრალი.

მძარცველი ტირილით მივარდა მთვრალს.

— გვერდით მომიჯექით. — უთხრა მთვრალმა. — აი აქ, ამ ქვაზე. ახლა კარგად ვიცი, რომ ცოლისათვის ეძებთ საჭმელს. თუმცა ცოტა დაღუპული ვარ.

ისე მდიდარი არ გეგონოთ. მე ბიძია ფერისთან დავლიე. რა ჰქვია თქვენს ცოლს. ჩემო კეთილო?

— მარიშკა ჰქვია, უჭმელობით გამხდარი, ქერა ქალია დუქნები უკვე დაკეტილია, ფული რომ მქონდეს, ძხვის მაინც ვუყიდდი. ხედავთ, კინაღამ მოგაკალით. ო, ღმერთო ჩემო!

— საცოდავი, — თავი დაუქნია მთვრალმა. — აი აქ, ჩემს გვერდით, სველ ქვაზე ჩამოჯექით, თუმც ხეალ ძვლები მოსვენებას არ მოგცემენ, მაგრამ არა უშავს. არ გიწყურებთ. ჩემთვის ყველაფერი ნათელი იყო. თქვენ არასოდეს არ ყოფილხართ მძარცველი.

ნამდვილი ყაჩაღი თავის მსხვერპლს თქვენობით როდი მიმართავს. მძარცველობა მხოლოდ დღეს გადავიწყვეტით და ისიც შიმშილის გამო. საფულე საერთოდ არ მაქვს, მაგრამ მისი მსგავსი რაღაც უნდა გამაჩნდეს. შიგ ერთი პენგო — და ოცი გროშია. აი ასე, ჩემო მეგობარო, ერთ პენგოს შენ მოგცემ, ხოლო ხურდებს ჩაისთვის შევინახავ. წადით და ქერა ლოკონებიან, შვენიერ მეუღლეს ძხვი უყიდეთ.

— ისინი უსმოდ ისხდნენ სველ ქვაზე

— მუსლი მოვიდრიკოთ, — უთხრა აკანკალებული ხმით მძარცველმა, რომელიც ცრემლებს ძლივს იკავებდა. მე კათოლიკე ვარ. იოჟეფი მქვია, მუსლი

ძოვიდრიკოთ, დღეს ორივენი გადავრჩით.

— რაო? — წამოიყვირა მთვრალმა. — როგორ, თქვენ ლაიოში არა ხართ? რა თქმა უნდა. ლაიოში უცხოლოა.

— არა, — უთხრა მძარცველმა, — მე იოჟეფი ვარ.

— რისთვის დაგჭირდათ ტყუილი, რომ ლაიოში ხართ? რა ეშმაკებისათვის ვიჯექი ამდენ ხანს თქვენს გვერდით ამ ცივ ქვაზე...


განადგურებული იჯდა მძარცველი ქვაფენილზე. მთვრალმა ერთი რიგიანად დაასლოკინა, შემდეგ ხელი ჩაიქნია და განაგრძო:

— ღმერთი იყოს შენი შემწყალებ, ლაიოში!

მერე თავზიანად ქუდი მოუხადა, ტორტმანით და ბურტყუნით გზა განაგრძო ბნელ ღამეში.

თარგმნეს ლ. ხუზუანი და მ. კოდუანი.

ნ. ბ. შირცხალაშვილი



თავბრუდამხვევი შინიში.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ხ. კლიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ქელიძე. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ეურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუხთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 30/V-1964 წ. ქაღ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კ. ც. გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1415. უფ. 04368. ტირაჟი 40000



ნახ. ზ. ლომიძისა

კონსერვატორი თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ინგლისში არსებობს კაპიტალისტთა და მუშათა კლასი, არამედ არის ერთი კლასი, რომელიც მესდგება მცირე, საშუალო, მაღალი და უმაღლეს შემოსავლიანი კატეგორიებისაგან.

